

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2016

- ✘ გარემოს დაცვა
- ✘ ბუნებრივი რესურსები
- ✘ მდგრადი განვითარება

ბლოკი „დავით თარხან-
მოურავი, ირმა ინაშვილი -
საქართველოს პატრიოტთა
ალიანსი, გაერთიანებული
ოპოზიცია”

ამონარიდი

2016 წლის საპარლამენტო
არჩევნებისთვის გამოქვეყნებული
საარჩევნო პროგრამიდან

საარჩევნო პროგრამა სრულად ხელმისაწვდომია
პოლიტიკური გაერთიანების ვებ-გვერდზე:
მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე:

ენერგეტიკა სხვა რაკურსით

თურქმენეთში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გაზის საბადოა მსოფლიოში. თურქმენეთი გაზს აწვდის ჩინეთსაც, ირანსაც სხვათა შორის, მაგრამ მთავარი ინტერესი, რათქმა უნდა, ევროპაა. თურქმენული გაზი ევროპაში რუსეთის მილსადენებით შედის და რაც ხაზგასასმელია, შედის არა როგორც თურქმენული გაზი, არამედ როგორც რუსული გაზი. ანუ რუსეთი ყიდულობს თურქმენულ გაზს, შემდეგ ამ გაზში გარკვეულ რაოდენობას რუსულ გაზს შეურევს და მიღებულ გაზს - ახალ პროდუქტს - როგორც, რუსულ გაზს ისე ყიდის შემდეგ ევროპაში. ამას რატომ აკეთებს? უფრო მეტ მოგებას ლეზულობს. პირდაპირ რომ გაატაროს თურქმენული გაზი, ეს იქნება ტრანზიტი და როცა თავის გაზს შეურევს, უკვე ახალი პროდუქტია და მეტი მოგებაა.

თურქმენეთს არა აქვს მილსადენები. ევროპაში მილსადენები ან რუსეთზე გადის და ე.ი. რუსული მილსადენებით უნდა გავიდეს, ან მეორე გზა აქვს თურქმენეთს: ჯერ აზერბაიჯანი უნდა გაიროს მისმა გაზმა, მერე საქართველო და საქართველოდან უნდა აღმოჩნდეს ევროპაში. ეს მეორე გზა ძალიან მომხიბვლემლია და საქართველოს აქ საკვანძო ადგილი უკავია. ახლა ევროპული კომპანიები ამას ხედავენ, ჩადიან თურქმენეთში და ეუბნებიან: მოგვეცით საშუალება, მიგვაღებინეთ მონაწილეობა გაზის მოპოვებაში; ამ შემთხვევაში ჩვენ თვითონ მოველაპარაკებით აზერბაიჯანსაც, საქართველოსაც და გაზს გავიტანთ და ევროპაში შევიტანთ. თურქმენეთს ეს ხელს არ აძლევს,- არც ერთ ქვეყანას არ უნდა, რომ სხვა ქვეყნის კომპანიებმა მიიღონ მონაწილეობა, მისი ვთქვათ, გაზის ან ნავთობის მოპოვებაში. ყველა ქვეყანა დაინტერესებულია, რომ ადგილობრივმა მწარმოებლებმა მოიპოვონ გაზიც, ნავთობიც და სხვა წიაღისეულიც.

ჩვენ, ქართველებმა, სრულიად სხვა კუთხით უნდა დავინახოთ ეს საკითხი. ჩვენ ახლავე უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები ევროპასთან. ჩვენ უნდა ვუთხრათ ევროპელებს: გამოგვიყავით კვოტა, დაგვიწესეთ, რომ ევროპაში სწორედ საქართველოს მეშვეობით შედიოდეს გაზიც თუნდაც მცირედი რაოდენობა. ევროპელები ხომ მოიხმარენ გაზს? ჩვენ უნდა ვუთხრათ ევროპელებს: მოგვეცით კვოტა, რომ 10-15 მილიარდი კუბამეტრი გაზი საქართველოს მეშვეობით შევიდეს ევროპაში. 10-15 მილიარდი კუბამეტრი არ არის იმდენად ბევრი, რომ ვინმე გაღიზიანდეს, და ვთქვათ, რუსეთმა ომი გამოგვიცხადოს ამის გამო, ჩვენთვის კი ეს საკმაოდ საგრძნობი შემოსავალი იქნება.

ჩვენ უნდა მივალწიოთ იმას, რომ ევროპამ ეს კვოტა გამოგვიყოს და ამის შემდეგ ჩვენ უნდა დაველაპარაკოთ უკვე თურქმენეთს და თურქმენული გაზი საქართველოს მეშვეობით უნდა შევიდეს ევროპაში.

ჩვენ უნდა ვუთხრათ ევროპელებს, რომ ჩვენ ამას ვიმსახურებთ! ჩვენ თავდაუზოგავად და თავგანწირულად ვმოქმედებდით მთელი განვლილი წლები საერთო - ევროპული მშენებლობის სასარგებლოდ და საერთოდ, დასავლური კურსის სასარგებლოდ. უამრავი წინააღმდეგობა გადავლახეთ, უზარმაზარი ომი გადავიტანეთ. ჩვენ ვიმსახურებთ იმას, რომ ევროპელებმა მხარი დაგვიჭირონ და საქართველოს თუნდაც ეს პატარა კვოტა გამოუყონ.

ერთი მიმართულებაა, ვიბრძოლოთ კვოტისათვის, რომ თურქმენული გაზი შევიტანოთ 10-15 მილიარდი, მეორე მიმართულებაა, რომ მოვითხოვოთ მაქსიმალური დატვირთვა ჯეიჰანის და შაჰდენიზის მილსადენებისა.

ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, ვისაც ამ საკითხთან ხელი მიუწვდება, ვისაც ხელეწიფება ეს თემა, აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში; უნდა მუშობდეს ევროპასთან, ევროპელ პარტნიორებთან, ამერიკელ პარტნიორებთან და უნდა მიაღწიონ ამას. ეს დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საქართველოსათვის.

ქართული მიწა-წყალი - ქართველ ხალხს!

საქართველოს მთელი ტერიტორია 7,5 მილიონ ჰექტარზე ცოტათი მეტია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 3,5 მილიონ ჰექტარზე ნაკლები უკავია. ამ დროს საბაზრო ფასი საშუალოდ 1000 ლარია. 1000 დოლარიც რომ იყოს, გამოდის, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ღირებულება მთლიანად სამნახევარ მილიარდ დოლარზე ნაკლებია. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ რომელიმე მილიარდელს, თუნდაც ბრუნეის სულთანს ან ბილ გეთს, ან სხვას 10-ჯერ, 15-ჯერ და 20-ჯერ შეუძლია მთელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეძენა და ბატონ სოროსს, მე მგონი, ერთხელ მაინც შეუძლია ან ორჯერაც კი.

იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, ჩეხეთში, ავსტრიაში, მექსიკაში, არგენტინაში, ქართველი კაცი თუ დედა-ბუდიანად არ გადასახლდა, ვერც სახნავ-სათეს მიწას იყიდის, ვერც - სამოვარს, ვერც - ტყეს. იქ კანონმდებლობა ამას კრძალავს. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება ძალიან პატარა მოცულობის მიწები იყიდონ. აი, ვთქვათ, თურქეთში ქართველი ორნახევარ ჰექტარზე მეტ მიწას ვერ იყიდის. თურქი, ჩინელი და ინდოელი კი საქართველოში, რამდენიც გაუხარდება, იმდენს იყიდის და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ აღმოვაჩინთ, რომ ჩვენი მიწა-წყლის პატრონი სხვა არის, ჩვენ არ ვართ.

ქართული მიწა-წყალი და საქართველოს ბუნებრივი რესურსები უნდა ეკუთვნოდეს ქართულ სახელმწიფოს და ქართველ ხალხს!

სახელმწიფო ვალდებულია, მიწა დაგვიკანონოს!

საქართველოში ერთ ხელისუფლებას ცვლის მეორე, მეორეს ცვლის მესამე, მაგრამ ქართველი კაცი ვერა და ვერ დაეპატრონა თავის მიწა - წყალს.

ზოგიერთ ჩვენგანს მამაპაპისეული მიწა ერგო, ზოგსაც კოლმეურნების დაშლის შედეგად ხვდა მიწის ნაკვეთი, ზოგმა საბჭოთა ეპოქაში შეიძინა მიწა. მაგრამ დღეს ამ ხალხის უმრავლესობა ვერ იკანონებს თავიანთ მიწას.

დღეს კაცი საჯარო რეესტრში რომ მიდის, გადასახადსაც იხდის, საბუთიც მიაქვს, მაგრამ მიწას ვერ იკანონებს. ხან ერთ საბუთს სთხოვენ, ხან მეორეს, ხან მესამეს და ამ საბუთის შეგროვება იმდენად დიდ დროსა და ფულს მოითხოვს, რომ კაცისათვის ეს გადაულახავი ბარიერი ხდება. შედეგად, - 10 კაციდან 8 მიწას ვერ იკანონებს.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაგვიკანონოს მიწა ყოველგვარი ზედმეტი ბიოუროკრატიისა და შეფერხების გარეშე.

ჩვენ უნდა დავეპატრონოთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მიწა-წყალს!

სოფლად მცხოვრებნი უნდა დაეპატრონონ მიწას და მათთვის უნდა მოეწყოს ინფრასტრუქტურა!

სოფლის მეურნეობაში შეიქმნა სავსაღალო ვითარება: კაცი, რომელმაც იცის მიწასთან მუშაობა, მიწას ვერ ეპატრონება და სხვისგან ქირაობს მიწას.

უფრო მეტიც: ძალიან ხშირად კაცი ვერ ეპატრონება და ვერ ამუშავებს მამაპაპისეულ მიწას.

ჩვენ დიდი ხანია, ვიბრძვით მიწის რეგისტრაციისა და დაკანონების გამარტივებისთვის. დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ მიწის დაკანონება - რეგისტრაციას გამარტივებს.

ჩვენ ეს გვიხარია, მაგრამ ჯერ უნდა დაინახოთ, რომ ხელისუფლება ამას რეალურად გააკეთებს.

კაცს რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მოჰყავს, მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიწა და ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს.

საყდრისის ყველა ჯალათი, პასუხს აგებს კანონის წინაშე, ქვეყნისა და ხალხის წინაშე!

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლებიც 2014 წლის 12 დეკემბერს გამოიცა, კომპანია RMG-მ, მეორე დღს, 13 დეკემბერს, საყდრისის უნიკალური ოქროს მადარო ააფეთქა.

ხსენებული ბრძანების გასაჩივრების უფლება, რომელიც ორი კვირიდან ერთ თვემდე პერიოდს მოიცავს, საზოგადოებას უკანონოდ წაართვეს. ბრძანების გაცემიდან მეორე დღესვე, 13 დეკემბერს, კომპანია RMG-მ ძველი ააფეთქა და ქართველ ერს ისტორიული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლი წაართვა. ყველა დაისჯება ვინც ეს გააკეთა.

იცნობდეთ საყდრისის ჯალათებს: საქართველოს კულტურის მინისტრი - მიხეილ გიორგაძე; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე; კომპანია RMG-ის სამართლებრივი მრჩეველი არჩილ კბილაშვილი.

საქართველოს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურება, სისხლის სამართლის დანაშაულია. საყდრისის ყველა ჯალათი, პასუხს აგებს კანონის წინაშე, ქვეყნისა და ხალხის წინაშე!